ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3901339

ნომერი: AR1587681

თარიღი : 23.03.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 05.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) ; ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 09/074) ; ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 მაისის №3243217ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 23 მარტის №AR1587681 განაცხადით მომართეს გიორგი ინასარიძემ, ფეიგუო იანგმა და ბადრი ანდრიაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 04 მაისის №3243217 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 31 მარტის № 3182468 ბრძანებით №01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2017 წლის 04 მაისის № 3243217 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 04 მაისიდან 2019 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის იმდროინდელი მესაკუთრე, შპს „ლოქეიშნ“.
საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, №01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულის ამჟამინდელ მესაკუთრეს (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაცია: №892018231451, მომზადების თარიღი: 19/03/2018) წარმოადგენს შპს „ხუასინის სამშენებლო კომპანია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406075919). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „ხუასინის სამშენებლო კომპანიის“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი, ფენგსინ დუნგ.
2018 წლის 23 მარტის №AR1587681 განაცხადით წარმოდგენილია შპს „ხუასინის სამშენებლო კომპანიის“ დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლითაც იგი შპს „ხუასინის სამშენებლო კომპანიის“ წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ანიჭებს ფეიგუო იანგს.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სამსახურის 2017 წლის 04 მაისის №3243217 ბრძანებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით მომართავს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წარმომადგენელი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილებაქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 მაისის №3243217 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „ხუასინის სამშენებლო კომპანია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406075919).ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 მაისის № 3243217 ბრძანება დანარჩენნაწილში დარჩესუცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანებაგანხილულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 მაისის №3243217 ბრძანებასთანერთად.
3. ბრძანება შეიძლებაგასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.